BRIEF

Deadline	-
Agency.:	**Betterfly | DDB**
Address:	Chavchavadzeave. 78
Telephone:	0 (322) 50 99 66
Mob:	551 32 00 04
E-mail:	Sopo.guraspashvili@betterfly.ge
Primary contact person:	Sopho Guraspashvili

1. კომპანიის/ პროდუქტის შესახებ

პროდუქტი არის ესკიმოს სახის ახალი ნაყინი სახელად „TWO ICE,“ რომელსაც აწარმოებს კომპანია „SOLAR ICE” (იხ. თანდართულილოგო) და იყიდება სამი სახეობის: ვანილის შიგთავსი თეთრ შოკოლადში, შოკოლადის შიგთავსი შავ შოკოლადში და მარწყვის შიგთავსი თეთრ შოკოლადში. ნაყინის ფასი იქნება 1 ლარი და გაიყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით.პროდუქტი განსხვავებულია იმით, რომ ესკიმოს აქვს ორი „ფეხი“ და შეფუთვის გახსნისთანავე მომხმარებელს შეუძლია გაყოს ნაყინი ორ დამოუკიდებელ ნაწილად. (იხ. თანდართული ფოტო)

2. მარკეტინგული მიზნები (Objectives)

- ბრენდის ცნობადობის გაზრდა
- ბრენდის მკაფიოდ პოზიციონირება, როგორც ორი ადამიანისთვის განკუთვნილი ნაყინი.

3. მიზნობრივი სეგმენტი (TA)

18-დან 25 წლამდე, საშუალო ან დაბალი შემოსავლის მქონე ახალგაზრდები.

4. Insight

მიზნობრივი სეგმენტი სხვა ყველა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით განსაკუთრებულად არის მიდრეკილი ემოციების, სურვილების და გრძნობების გაზიარებისკენ, რადგან ეს პერიოდი სავსეა ახალ-ახალი თავგადასავლებით, ურთიერთობებით და ემოციებით. შესაბამისად, ეს პროდუქტი შინაარსობრივად მორგებულია სწორედ ისეთ ადამიანებზე, რომელთაც სიამოვნებთ რაიმეს გაზიარების პროცესი, „გრძნობებით დაწყებული, ნაყინით დამთავრებული.“

5. დავალება

შეიმუშავეთ “TWO ICE”-ის შეფუთვის დიზაინი და მოარგეთ ის სამივე სახის ნაყინს: ვანილის შიგთავსი თეთრ შოკოლადში, შოკოლადის შიგთავსი შავ შოკოლადში და მარწყვის შიგთავსი თეთრ შოკოლადში.

6. აუცილებელი მოთხოვნები

- ეტიკეტზე აუცილებლად უნდა იყოს დატანილი 1. ჩვენს მიერ მოწოდებული მწარმოებლის ლოგო - „SOLAR ICE”, 2. პროდუქტის სახელი ინგლისურად: „TWO ICE”3.სლოგანი: Share with the one you love.
- ნამუშევარი უნდა იყოს JPEG ფორმატში, 3500*2000px.
- თანდართულ ფაილში იხილავთ შეფუთვის ფორმას,რომელზეც უნდა მოათავსოთ თქვენი დიზაინი, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ თავად მოიფიქროთ შეფუთვის ფორმაც.